ნიანგი

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 19 1985

ნახ. გ. მორჩაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშრომლად მოინდომა გამდიდრება ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსმა რევიზორმა თენგიზ ზურაბის ძე ნარინდოშვილმა. მომხვეჭელობისკენ ეჭირა თვალი და რევიზორი კონტროლს არ უწევდა თავს, ცდილობდა, სადმე ქრთამი აეღო!.. ამის შემთხვევაც მიეცა: იგი ერთი თვით მიავლინეს ცაგერის რაიკოოპერატივში დოკუმენტური რევიზიის ჩასატარებლად. ჩავიდა რევიზორი ცაგერში, სადაც მას ლეჩხუმური გულუხვობით შეხვდნენ. პირველივე დღეებში გამართული პურ-მარილით დარწმუნდა, **რომ „ამ ხალხთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა“.**

რევიზია დაზვერვით დაიწყო. მან შეიტყო, რომ ცაგერის რაიკოოპერატივში შედის ოთხი გაერთიანება — **პურკომბინატი, საზკვების გაერთიანება, ალპანის სავაჭრო დარგობრივი გაერთიანება და საკუთარი მეურნეობა!**

თ. ნარინდოშვილი 1984 წლის 16 ივნისიდან შეუდგა „მუშაობას“. მასალებისა და ხალხის „დასამუშავებლად“ აირჩია რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგის მ. უგრეხელიძის სამსახურებრივი კაბინეტი. ამ კაბინეტში რევიზორმა საბოლოოდ მოიხსნა კანონიერების მცველის მკაცრი ნიღაბი და **მ. უგრეხელიძეს** მსუნაგური ღიმილით განუცხადა: **„თუ არ მომცემთ ქრთამად 8.000 მანეთს, დოკუმენტურ რევიზიას ისე ჩავატარებ, რომ ყველას აგატირებთ, კანონიერად, სრულყოფილად გამოვიყენებ ჩემს სამსახურებრივ უფლებებს, უყურადღებოდ არ დავტოვებ წვრილმან დარღვევებსაც კი და, ყველაფერს უკლებლივ შევიტან დოკუმენტური რევიზიის აქტებშიო!**

მ. უგრეხელიძე შეაშინა რევიზორის მუქარამ და დათანხმდა აღნიშნული ოდენობის ქრთამის მიცემაზე. წავიდა და ამის შესახებ აცნობა **მთავარ ბუღალტერს ვ. ჩაკვეტაძეს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ი. ბენდელიანს,** რომლებიც დაეთანხმნენ. სამეულმა გადაწყვიტა **თ. ნარინდოშვილისათვის 8.000 მანეთი მიეცათ ქრთამად, ოღონდაც „კანონიერი რევიზია არ ჩაეტარებინა“!**

ამუშავდა ეშმაკის მანქანა, შეადგინეს თანამშრომელთა სიები, თუ ვის რამდენი თუ-

ფელეტონი

მანი უნდა დაედო ხელფასის მიღების დროს. კონკრეტულად: **პურკომბინატს უნდა მოეტანა 1.200 მანეთი, საზკვების გაერთიანებას — 2.500 მანეთი, ალპანას — 3.000 მანეთი, საკუთარ მეურნეობას — 4.750 მანეთი! რევიზორ-ინვენტარიზატორმა** გ. მდივანმა 45 **თანამშრომლისგან** აკრიფა **ფული სიის მიხედვით. ამრიგად ქრთამის მიცემაში წამქეზებლები** აღმოჩნდნენ **კოლექტიურად: რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგე, მთავარი ბუღალტერი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რევიზორ-ინვენტარიზატორი, პურკომბინატის დირექტორი, საზკვების გაერთიანების დირექტორი, მისი უფროსი ბუღალტერი, მოლარე!** გვარიანად წაიმუშავეს მათ და შეგროვილი **8.000 მანეთი** ცაგერის სასტუმროში მიართვეს **თ. ნარინდოშვილს მ. უგრეხელიძემ** და **ი. ბენდელიანმ.**

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა: ქრთამის აღების **ამბავი** ცნობილი **გახდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების** დატაცებისა **და** სპეკულაციის **წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებისათვის. მათ 1984 წლის 26 სექტემბერს** ცაგერის **რაიკოოპერატივში** ამოიღეს **სიები, რომლის** მიხედვითაც **აიკრიფა 8.000 მანეთი.**

ასე აღიძრა **სისხლის** სამართლის **საქმე.** წინასწარი ძიებისა **და** სამსჯავრო **გამოძიების** მიერ **შედგენილმა** დოკუმენტებმა ცამეტი ტომი **შეადგინა.** იქ ნათლად **არის** ფიქსირებული, **რომ „ქრთამის სახით 8.000 მანეთის მიღების შემდეგ თ. ნარინდოშვილმა ანგარებით ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე, რევიზიის შედეგებზე** შედგენილ **ოფიციალურ** დოკუმენტებში **შეგნებულად** შეიტანა **ყალბი** შინაარსის **შემცველი** მონაცემები“.

დამნაშავეთა საქმის **განხილვას** თვეზე **მეტ** ხანს **მოუნდა** რესპუბლიკის **უმაღლესი** სასამართლოს **სისხლის** სამართლის **საქმეთა** სასამართლო **კოლეგია** (**თავმჯდომარე ჯ. ყიფიანი**). **გამოტანილი** განაჩენით **თ. ზ. ნარინდოშვილს მიესაჯა 13 წლით** თავისუფლების **აღკვეთა, ქონების** კონფისკაციით, **გაძლიერებული** რეჟიმის **შრომა**-გასწორების **კოლონიაში** მოხდით. **მასვე** სასჯელის **მოხდის** შემდეგ **სამი** წლით **აეკრძალა** პასუხსაგებ **თანამდებობაზე** მუშაობა. **მ. უგრეხელიძეს** შეეფარდა **6** წლით **თავისუფლების** აღკვეთა, **ვ. ჩაკვეტაძეს — 5** წლით, **— ი. ბენდელიანს — 5** წლით, **კ. ჩარკვიანს — 5** წლით, **გ. მდივანს — 4** წლით, **გ. კუხალაშვილს — 4** წლით, **მ. თუთიხანს 3** წლით **და 6** თვით, **მ. კოპალიანს — 3** წლით! **ამასთან** თითოეულს **გარდა მ. კოპალიანისა, სამ-სამი** წლით **ჩამოერთვათ** პასუხსაგები **თანამდებობის** დაკავების **უფლება!**

კოლეგიის განაჩენში **აღნიშნულია, რომ მ. თუთიხანის** მიმართ **შეფარდებული** სასჯელი **პირობით** არ **იქნეს** გამოყენებული, **თუ** იგი ხუთი **წლის** მანძილზე **არ ჩაიდენს** ახალ **დანაშაულს, ხოლო მ. კოპალიანს** განაჩენის **აღსრულება** ძირითადი **სასჯელის** ნაწილში **ორი** წლით **გადაედოს!**

ასე **დასრულდა** ცაგერში **ქრთამის** ამღებ-მიმცემთა **სასამართლო** პროცესი, **რომელიც** მწარე **გაკვეთილია** მათთვის, ვისაც **უკანონო** გზით **წაგლეჯვა-გამოძალვის** საშუალებით **გამდიდრებაზე** უჭირავს **თვალი!**

ს. ჭაბუკიანი

ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

— ამხანაგებო! ათწლიანი დასასვენებელი საგზურით შეფასდა ჩვენი მმართველის მუშაობა!..

პაროდია

შევიპატიჟე პროტეჟე
კაბინეტს მუხის ხისასა,

ბინა მთხოვა და მივეცი,
ვურჩევდი „ზემელისასა“
(სამნიშნა ციფრი ვერ იტევს
ფართს საცხოვრებელს მისასა!),

ავეჯი მთხოვა, მივეცი,
ვურჩევდი სპილოს ძვლისასა,

„ვოლგა“ მთხოვა და მივეცი,
ვურჩევდი კუპრისფრისასა,

ცნობა მთხოვა და მივეცი,
ვუწერდი სიყალბისასა,

მოწყობა მთხოვა, მოვუწყვე
შვილი ინსტიტუტს
ძვირფასად,

საგზური მთხოვა, მივეცი,
ვურჩევდი პარიზისასა,

პოსტი მთხოვა და მივეცი,
ვურჩევდი მმართველისასა,

ქრთამი მომცა და ავიღე
დავმალე სიდედრისასა,
არ ავიღებდი ან როგორ,
ქრთამსა — ჩემს ნამდვილ მიზანსა?!

ვამომიჭირეს, გამწირეს,
ელვასა ჰგავდა ცისასა!..
არა მცნეს ღირსად, მომაძვრეს
სავარძელს უფროსისასა!..

აქეთ მე „ვზივარ“, იქით — ის,
ვპროტექტორობდი ვისაცა!..

ბათუ მელია



ნახ. ა. ასლამაზაშვილისა

უსიტყვოდ



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ნაკვესები

● კერძომესაკუთრეს დღეები დათვლილი ჰქონდა, ფული და ქონება კი — უთვალავი.

● ტყეს ხერხით ანადგურებდა და ამ ხერხით მდიდრდებოდა.

● მწყემსი კოლმეურნეობისა იყო, წესი კი მგლისა ჰქონდა.

● ცარიელი თავის პატრონს თავი სავსე ჯიბით მოჰქონდა.

● სპეკულანტმა ყვავილით ოჯახი ააყვავა.

● სტაჟი უწყვეტი ჰქონდა, თუმცა მუშაობით წელში გაწყვეტილი არ იყო.

● კერძომესაკუთრემ — დასასვენებელ სახლსაც ავიშენებო, მაგრამ ბოლოს აშენებულში მოათავსეს.

● ჭკუის კოლოფი ცარიელი ჰქონდა, ფულის კი — გატენილი.

● „ცხრა ძმისა და ერთი თხილის გულის“ მორალით ინაწილებდნენ ერთ საამქროში „შემოსავალს“ და სასჯელიც ასევე გაუნაწილეს.

● სპეკულანტებს ალბათ უჩინმაჩინის ქუდი ახურავთ და „ჩინიანები“ ამიტომ ვერ ამჩნევენ.

● კერძომესაკუთრემ თავდასხმა მოიგერია, მაგრამ თავზე ლაფის დასხმა ვერ აიცილა.

● კადრების განყოფილებაში არც ერთ კადრს არ წუნობდნენ და წარმოება ბევრ წუნს უშვებდა.

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი)

უსიტყვოდ



ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულითა ანიბეიკრი ვიხვეკი ვანშეკესა

საკუთრული-ირონიული ლირიკა

ხითხითა

ჯიშია თუ ჩვევაა,
ველარ გამირჩევია,
ზოგს რომ მოფარებულში
ყრუ ხითხითი სჩვევია!

საკუთარზე თვალს იბრმობს,
სულ ცხოთ ნაკლს აკირკიტებს,
მამრე მჯილში პირს მალავს,
ხითხითებს და ხითხითებს!..

ვიცი: შენთან მე „მამკობს“,
ჩემთან შენზე მითითებს!..
შენთან ჩემზე ქირქილებს,
ჩემთან შენზე ხითხითებს!..

ვიდრე შეგვაძულებდეს
ერთურთს აქეთ-იქითებს,
ყველამ, ყველგან პანლური —
ამისთანა ხითხითებს!..

მხოლოდ ჭამე და იძინე!

იმ დღეს ზეიმი ჩატარდა,
მინდოდა, შენც იქ მეხილე!
ჩანს, ისრივ თავის ჯამს ჩასცქერ,
ხალხში არ წამაეხირე!

მოდი, გვისმინე, რასა ვბჭობთ,
კონცერტს უყურე, კინოსა!
ვინ გაპყოლია ცა-მზესა? —
შენც წაგიღებენ, შვილოსა...

ან სტუმარს დახვდი, საერთოს,
(სულ საკუთარი — იკმარე!),
არ გაწყენს, ხალხში მიდ-მოდეგ,
წაეხმარ-წამოიხმარე!

ამ შეგონებას თუ მიწყენ
და გულში ბეკრსაც იცინებ, —
მაშინ ახია, — რაცა ხარ, —
მხოლოდ ჭამე და იძინე!..

ზოგ თეთრს ვაქებთ და ზოგი კი...

დარიალაში ცხვარს ვმწყემსავთ
ჩონთა, ელგუჯა, ალექსა...
შოთას და ვაჟას ლექსს ვიცნობთ,
თავადაც გვიყვარს გალექსვა!..
მაგრამ თეთრ-ვერლიბრთ კითხვაში
თითო მწყემს ვიკლებთ ჩარექსა!..
ჩავყურებთ, — როგორც მკითხავი
ჯამში ლობიოს ნალექსა!..
ვარჩევთ და ვერ გავარჩიეთ,
რა — პროზადაა, რა — ლექსად!..
ზოგ თეთრს ვაქებთ და ზოგი კი
კაცს დააბრმავებს, წალეკსა!..
ისა გვწყინს, ნაღდი მელექსე
ზოგჯერ რომ ირჩევს მცდარე გზას,
თორემ ვინ ერჩის უნიჭოს —
კოსროში ნიავნარეკსა?!

გამდგარ-გაუცხოებულ ჩვენებურს

ე რა გესლმა დაგგესლა?!
ჩვენებურს არ გავხარო!
გვერდში აღარ გვიდგეხარ,
ვინა ხარ და რა ხარო?!
გული რამ გაგიცივა,
კლდე ხარო თუ ქვა ხარო?!.
დასამალ ხო დამალე,
დასახრავიც დახარო!
კიდევ რას გვემართლები?!
გამდგარხარ და დგახარო!
ჩვენს სიკეთეს დასცინი,
სიძულვილით ყარხარო!
რა ვქნათ, თუ არ გიყვარვართ,
აღარც ჩვენ გვიყვარხარო!
რო მახკვდები, ვაითუ
საფლავ არვინ გაოხაროს,
არვინ გითხრას შენდობა,
თავიც არვინ დახაროს,
თემმა შეგიკურთხოს და
მწარედ გადიხარხაროს!

ტყავები

კ ა ფ ი ე ბ ი კ ო ლ მ ე ურ ნ ე ო ბ ი ს კ ა ნ ტ ო რ ი დ ა ნ

ბ რ ი გ ა დ ი რ ი:

ყველამდე მაქვს მიზეზები:
ქურდი, მგელი, სვავები,
დაცემა და იძულებით
დაკვლა გაუთავები!..

ფ ე რ მ ი ს გ ა მ გ ე:

ბალღო, ხელზე ვიქონიოთ
თეთრები თუ შავები —
ცხვრების ნაცვლად —
ცხვრის ტყავები,
ძმურად განატყავები!..

ს ა ნ ყ ო ბ ი ს გ ა მ გ ე:

სხვენიდან თუ სარდაფიდან
ნაძებნ-დანახვავები,
ასი წლის წინ „ლომისისთვის“
შეწირული კრავების!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე:

წლები გადის და გვატყავებს
ცხვრისგან ცხვრების ტყავები!

ბ უ ღ ა ლ ტ ე რ ი:

ღმერთო, ნურვის გვათქმევინებ:
„ტ ყ ა ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს გ ა ვ ე ბ ი!“

ანონიმისტს

შენ ჩვენი ეორის არა ხარ,
ავ-შავს რომ ჩხაპნი ტოლებზე!
ჩანს, ჯიშმა გაგანაწილა
ემაგისთანა როლებზე!
ჯილაგმაც კვერი დაგიკრა, —
ღვარძლი გდიოდეს თოლებზე, —
მაგდანას ლურჯასავითა
თოკით მიბმულო ჭორებზე!
შინ ვისაცა ჰყავ სალექსო,
ლექსს ის თხზავს ცხოთა ცოლებზე!
გსურს თეთრი შავად აქციო,
ედები ღობე-ყორეზე!
მაგრამ რის მაქნისიცა ხარ,
ბეტყობა ჭკუის ღონეზე!..
თაგვთა, ეგ შენი „ნაღვაწი“,
სოროში მილეს-მოლესეს,
თავად კი დარჩი, როგორც ხარ —
გამოქვაბულის დონეზე!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ეკვლესიების სიძნელეები

მოთხრობა

დირექტორი, მისი მოადგილე და მოავარი ბუღალტერი ვვიან ღამით მრუნდებოდნენ ქვიფიდან, რომელზეც მინწეულნი იყვნენ სამმართველოს ახალი უფროსის მიერ ამ თანამდებობაზე მისი დანიშვნის აღსანიშნავად.

დირექტორის „ვოლგა“ ტყვიასავით მიქროდა თოფის ლულასავით ბნელ ქუჩაში.

— ანგარიშში ჩასაგდებია ახლა ვითომ ეს დამატიკება? — დაიწყო ბუღალტერმა, — მე რომ მივუტანე, იმ სარეკრის საფასურის ნახევარი არ მისცამს და მიჭამია!..

— რა ჰქონდა, რომ შეგეკამა?!. ის ძაღლი მაინც დაეკლა, კიბეები რომ კირარსტეზით უკანვე ჩაგვარბენინა! — ისარი აუბა დირექტორის მოადგილემ.

— სტუმრებს ელოდა და, არ უნდა დაება, ან დაეშუვდია ის სამგლე? — ჩაერთო დირექტორმა.

— ვანვებ მალხაზიზ, განგებ!.. ვერ ხვდებით?! ოყოდ, ცოტა ვიკაცურად რომ ვკამთ და იქნებ მადა დავკარგვინოთ, ძაღლი მოვკოსისინაა!..

— პირი არაფრისთვის დამიკარგია, ხელ მაგიდის ქვეშ ვიყურებოდი, ძაღლმა აქეთ არ შემჭამოს-მეთქი! — აღიარა ბუღალტერმა.

— ეჰ, რას არ მოიფიქრებს ადამიანი ერთი ლუკმის გამორწენისათვის! — ამოიოხრა დირექტორის მოადგილემ.

— ადამიანს ეძახი შენ მაგას?! მისი ძაღლის ნაყელური თუ არ მერჩიენოს, კაცი არ ვიყო! — შეეკამათა მოავარი ბუღალტერი.

— ნაყელურს რატომ არ ამჯობინებ, ვერცხლისა! — შენინმა მოადგილემ.

— გაიარე! გაიარე! გაეცდით! — წამოიძახა დირექტორმა და მოფრენ მკლავზე ხელი ჩაარტყა.

მანქანა მოავარი ბუღალტრის სახლთან შედგა. ბუღალტერი ჩამოვიდა. ის იყო, კარი უნდა დაეკეტა, რომ დირექტორისა და მისი მოადგილის ნეტარი მოლოდინით გაცისკროვნებულმა სახეებმა მიახვედრა, რამოდენა შეცდომას ხმადიოდა. უმალვე მანქანაში შებრუნდა და კარი მოიკუხუნა.

— გაგაცილებთ, მალხაზიზ, ჯერ მაინც არ მეძინება! — ვითომ სხვათა შორის თქვა მან.

— კაცო, შენ რატომ უნდა გამაცილო?! ჩემი მანქანაა!

— მალხაზიზ, შენი ჭირიმე!.. თქვენი ჭირიმე! — მოადგილესაც მიუბრუნდა: — ვერ დაგტოვებთ მარტო!.. ნუ დამტოვებთ მარტო!..

— ჩამოიყვანე! — უბრძანა დირექტორმა მოფრენ.

მოფრი ჩამოვიდა, მანქანას შემოუარა, კარი გამოაღო, მოავარ ბუღალტერს ეძვერა და მკლავი ანტეტასავით დაუგრძელა, მაგრამ ბუღალტერს ეურადება არ მიუქცევია, იგი ცრემლად იღვრებოდა.

— რა დაგიშავე, მალხაზიზ?! ბოლოს ჩამოვალ, რა მოხდება?! გამიშვი, ბიჭო, ხელი, თორემ!.. ნუ დამღუპავთ! ნუ გამაოხსირებთ!..

— დაეხმარე! — მოადგილესაც უბრძანა დირექტორმა.

მოადგილე ადგილდანვე მიაწვა, დირექტორმაც ხელი მეაშველა და ბუღალტერი მანქანიდან გადაათვლეს. მოფრი სწრაფად მიუვდა საჭეს და მანქანა ადგილიდან მოწყდა.

— ძალიან არ მოვიშორეთ? — დაიწყო დირექტორის მოადგილემ, — ხომ გული გამოისუფდებოდა ამაღამ, მაგის კაიკაცობაზე რომ არ შელაპარაკა?!. მასეთი ნუნურაქი, ზეთი კაცის მნახველი მე არა ვარ! ძაღლია!.. ძაღლი რომ ოვიდონაა, ვითომ არაფერი!.. არც

თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს!.. ჯამაგრისაც კი ხელების კანკალით არიგებს!..

— მაგის მომავალი ვერ მეწევნება მე გაფურჩქნილად! — თქვა ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა დირექტორმა.

„ალბათ, მოხსნას უპირებს!“ —

ნახ. ჯ. ლოლაშვილი (1967 წ.)

ადამიანი

ზარმოუდგენელია, ედიშერ ყიფიანი გენობოდა და როდისმე დადგენენებოდა მისი საიერად კეთილი ღამილი, შედგამ სიყვარულით მდეფაკვი გულ!.. მის მეგობრებსა და ახლობლებს დღემდე არ გაგონებიათ მწუხარება, ამ უსაეტაკესი კაცის მოულოდნელად დაღეკვამ რომ არგუნა!..

რეზო ჭეიშვილს ერთ ბატარა, მაგრამ ძალზე მოამბეჭდავ დოკუმენტურ მოთხრობაში, სადაც ეფერთან, უაზროდ და უკვალოდ გაქრნალი ახალგაზრდა კაცის გაიოცნებებას ცდილობს, აქვს ერთი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი: გარდაცვლილის ოთახში, სხვადასხვა ნივთებსა და ეოგნებთან ერთად, არის ედიშერ ყიფიანის ბატარა წიგნი, რომელს ყდაზე აღნეშნული ავტორის ეოტო წვენ გვიფურებს. ამით ინ ფალუშელი ბიჭის ზნეობრივ სიწმინდეზე მიგვანიშნებს რეზო ჭეიშვილი, თუმცა ამ განზრახვას საჯაგებიდ მალვას, სიტყვასაც არ ძრავს ამაზე.

ედიშერ ყიფიანი, ეს ჩუმი და მოკრძალებული კაცი, ძალზე გონებამახვილი იყო. ერთხელ „ბანაობაში“ რაღაც ბეჭნნი მიტანილი, რასი დამუშავდა იმისანაგ მინდოდა. ედიშერს ეუთხარი, ეგეს ეურადღება მიმიქცია, ვინმეს ხელი არ შეეშალოს-მეთქი! ამაზე მისეეურად გაიეინა — **ნუ გეშინია, ხელისშემშველი ხელისშემშველებიდან არსებობენ!**

სხვა დროსაც გამოუჩენია არაჩვეულებრივი სიმარ და ეურადღება. მახსოვს, ზეიმზრა: **ჩემი რიგისანა (ალბათ ასხოლილი ქუდები!) ერთ ეგირს შეანი ზოგიერთი თითქმის მიეკანეს და ოე ამოიეენოთ!..**

ედიშერი ყოველთვის სიამოვნებით ბეემდავდა თავის ოეერისტულ ფოთრობებს „ნიანგში“. ერთ ფათეიან ეურნალის ამ ნომერშიც ეაიკითხავთ. ეს ბატარა ფოთრობა ნამდვილ ამბავეეი დაწერილი და თავისებურად გარდასახული. აქაც ჩანს ედიშერ ყიფიანის ფაეეიეეარი, კეთილი ღიმილი, აქვე ერთმანეთის მოფრთხილებასა და სიყვარულს ვგასაჩვენის!

ედეზარ კვიბაშვილი

გაიფიქრა მოფრემა.

— რა თქმა უნდა, მალხაზიზ!.. დეგენერატია, გულის მაგიერად ხაანგარიში უდევს მკერდში!

— როგორ ლანძღავდა ხამმართველს უფროსს?! იმის ფრჩხილის ჭუჭყადაც არ ღირს! ფუუ, მაგის მომგონის!.. დირექტორობა შემაჯავრა!

— მე კი — მოადგილეობა! ფუუ, მაგის მომგონის!.. — დაუდასტურა მოადგილემ და დაფიქრდა, კიდევ რა ეთქვაო.

— ვერ გრძნობს, რა აყოლებუულიცაა?!

— რას იგრძნობს ქვა?!

— ისიც ხაანგარიშია!.. — ეაახსენდა დირექტორს შედარება და უეცრად მოფრს შეპკეკინა: — რა ქენი, ბიჭო, შენ?! ხახლში მომიყვანე?! გაკბრუნე ახლავე! მიეიყვანოთ ეს კაცი!

— მალხაზიზ, ჩამობრძანდით! — ფრთხილად შეაპარა მოადგილემ, — რად მინდა მე გაცილება?!

— მეტი ხაქმე არ მაქეს ახლა, გაგაცილო!.. გაკბრუნე!

— კი მაგრამ, მალხაზიზ, ხახლში ხარო ეკვე და რატომ უნდა შეეუხდეთ?! ჩამობრძანდით!.. მე ხომ თქვენოვის არაფერი არ დამიშავებია?! — ატირდა მოადგილე.

— გახნი!.. — დაეღრიალა დირექტორმა მოფერს.

ათი წუთის შემდეგ უკვე მოადგილის ხახლთან იდგნენ.

— ჩამოდი!

— ახლა მე გაგაცილებთ! — ხაწყალდ ვაიერიეჯა მოადგილე და ნერწყვი გადაყლაპა.

— რა დროს მახხორობაა!.. ჩვენ ხამი წლის წინათ შეეთანხმდით, რომ ბოლოს ყოველთვის მე უნდა დავწერე მანქანაში ოთახში, კლუბში, კაბინეტში!.. ჩამოიყვანე! — უბრძანა მოფერს და იგრძნო, რომ ხაშინლად ეძაკვნოდა ენა, ერთი წამითაც ვეღარ მოიითქნენა ამ მტანჯველ ქვიელს.

მოფერი ეძვერა მოადგილეს. დირექტორიც მიაწვა, მაგრამ მოადგილე ბუღალტერზე მაგარი გამოდგა — ფეხები ისე გაჩაჩხა, თითქოს უფსკრულში გადაეგდოს უპირებდნენ. დირექტორი მანქანიდან ჩამოვიდა.

— გუშინდელივით! — უბრძანა მოფერს.

— ახლავე, მალხაზიზ! — მოფერი ხაჯეს მიუვდა, მანქანა ერთბაშად დაძრა და, როგა ას კილომეტრ ხიჩქარეს მიაღწია, ხაეე უეცრად მარცხნივ შეაბრუნა, ღია კარიდან გაფრინდა მოადგილე და გაზონის ბუჩქებში გადაილეწა. მანქანა დირექტორთან მოგორდა.

— ვაი მაგის უბედური პატრონის ბრალი! — ამოიხვნეშა დირექტორმა, როგორც კი „ვოლგა“ დაიძრა, — შენ

— ვიცი, მალხაზიზ!

— შენ, ბიჭო, მაგას გაყიდი, იყიდი და მერე ისევ გაყიდი!

— აბა რას ვუზამ! ხამოცდათორმეტ-პროცენტიანი ვფიქლეო! ეგ ნომერ მეოდ გილე ეეფიანი!..

— ეგ უნდა ოყოს. ეაახსენი, რომ ქალაღდის პარკების გამყიდველია, ამის მეხამე მოადგილე!

— ეგ უნდა შუამობდეს ხაკვამლე მილად!

— შენ, ბიჭო, მაგას გაყიდი, იყიდი და მერე ისევ გაყიდი!

— აბა რას ვუზამ!..

— ეზოდან შემიყვანე! ახლა ხადარბაზო დაკეტილი იქნება! — ოდნავ დაუამდა ენა დირექტორს, როცა ხახლს მიუახლოვდნენ.

ჩამოვიდა თუ არა მანქანიდან, უეცრად ისევ შიგნით შეიხედა, ხომ არავინ რჩებაო, მერე მოალედ ეხროოა მოფერს:

— ხვალ შვიდ საათზე! — და წავიდა.

— „შვიდ საათზე“! — ხმამაღალა, ზიზღით გაიმეორა მოფერმა და მანქანა დაძრა, — მამა გიცხონდეს, ერთბაშად ხამხახურში არ წამოხვიდე!.. „შვიდ საათზე!..“ ღამის ხამი საათია და — „ხვალ შვიდ საათზე!“ ახეთი მძორის მნახველი თუ ვიყო, ცოლ-შვილი გამეხრიხოს!.. ამხელა თავი ამია და მიე ერთი გრამი ტკენი არ ნაუხსა ღმერთმა, ხელ ხალასტოიზე დადიხ! ხადამდე ოვლის?! ერთი აღმართი არ შეხვდება?! კრეტინი, ვირისთავი!..

მანქანა გარაჟთან მიაყენა. მოტორი არ გამოუთიშავს, გადმოვიდა და გარაჟის კარის გასაღებად გაეშართა.

— კრეტინი თავი ზედ ვაბია! — ჩაიხითითა მოტორმა, — შენისთანა დაპლომბილი მოფერი ღმერთის ნუფარ შემახვედრეს!.. მე შენ ვიყიდი!.. გაგყიდი!.. ხაანგარიში ქვავ!.. შენი მომავალი არ მეწევნება მე გაფურჩქნილად!.. ხაველოიანი ძაღლო!.. ბარნოვის აღმართო!.. მაზუტ, ნუხსანტნი!..

1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რატომ დადის ჩვენი თავხედი უფროსი ამ ბოლო დროს ასე თავწახრილი?

— თავი რომ თავმდაბალ კაცად მოგვაჩვენოს!

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მანქანა რატომ გაყიდე?

— სამსახური ვიყიდე!

ზუგდიდური ჩანახატები

საინტერესო დამთხვევა

თამარ სტეფანეს ასულმა ლიპარტიამ, ხობის რაიონის სოფელ ხიბულის მცხოვრებმა, შინნახადი არაყი „ჩუმად" მიჰყიდა ზუგდიდელ **ლავრენტი ხობელიას**. საინტერესო დამთხვევა გამოვიდა — ხიბულელმა, იგივე ხობელმა, ხილის არაყით ხელდამშვენებულმა, ხობელიას ხათრი ვერ გაუტეხა და ხელმარჯვედ გადასცა სპირტიანი სასმელი!..

ვინ მიჰყიდა სული ეშმაკს, ხობელმა თუ ხობელიამ? ალბათ, ერთმაც და მეორემაც.

ბლის შემდეგ

კასპელმა თენგიზ დიმიტრის ძე თაბუაშვილმა ზუგდიდში გასაყიდად ჩატანილ ბალს არაყიც გააყოლა. როცა სასმელის გასაღების მცდელობის მომენტში წაასწრეს, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — რას ბრძანებთ! ამას როგორ გავყიდი, ჩემთვის წამოვიღე ცოტა, ბლით პირის ჩატკბარუნების შემდეგ არაყს ხომ განსაკუთრებული გემო აქვსო!..

ბლის დასაყოლებლად არაყი მართლაც არც მყიდველს აწყენდა, ხელი რომ არ შეეშალათ. რას იზამ, ესეც ხათრის გამო გამოუვიდა ასე, არაყისგან თავბრუდახვეულ თაბუაშვილს.

დღის ციცინათელები

თბილის-სოხუმის ცენტრალური ავტოტრასის გასწვრივ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშთან, ორიოდე კილომეტრის მანძილზე, ხშირად მთელი დღე ანთია ლამპიონები. რაიონის ელქსელის ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, რომ საქმე მოგვარდებოდა, მაგრამ მდგომარეობა ისევ გრძელდება.

იქნებ „ნიანგის" ჩარევამ აამოძრაოს ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისადმი ასეთი მტრული დამოკიდებულების მქონე პირნი და „დღის ციცინათელების" მომრავლებაზე უფრო ზოგი ჩაბნელებული სოფლის უბნების განათებაზე იფიქრონ?!

ანზორ ბარამია,
„ნიანგის" შტატგარეშე კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

მიყიდე და მიყიდე!..

პაროდია

არ გაშინებს ნივთების
სიძვირე და სიდიდე,
ქმართან პირს გაკერია:
„მიყიდე და მიყიდე!"

აგარაკი, მანქანა,
და სასახლეც შენია!
ამ „მიყიდეს" ძახილში
რა არ შეგიძენია!

რასაც ნახავ, შეხედავ,
სადაც უნდა ჰიხვიდე,
აგროვებ და აგროვებ
აურაცხელ სიმდიდრეს!..

მზად ხარ, ლამის იყიდო
თუნდ ნატეხი რიყის ქვის!..
პატიმარი ქმარი რომ
ველარაფერს გიყიდის?!

გივი ჩხაიძე

მედლის — «არაყაცობისათვის» — კავალერები

„მარტო მიმდინარე წლის ივნისის თვეში ქუთაისის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოხვდა 294 კაცი. მათგან 209 სიმთვრალის ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, როდესაც კაცს ავიწყდება თავისი ადამიანური ღირსება, ჭკუას კარგავს და განურჩეველი ხდება. უზომოდ სმის ამ მოყვარულთაგან 116 კაცი ჩვენი ქალაქის მკვიდრია“.

გაზეთი „ქუთაისი“ 133, 11 ივლისი, 1985 წელი.

აკაკი ბენიას ძე ჯიბლაძე — წყალტუბოში მცხოვრები (სტალინის ქუჩა № 5-28), 1948 წელს დაბადებული, ქუთაისის ავტოქარხნის აგრეგატული კორპუსის გამმართველი (სიმთვრალეში გორავს, როგორც კამათელი), სკკპ წევრი, (ამას წინათ დალია ბევრი, გამოსაფხიზლებელში იდო, როგორც ქვევრი).

ალექსანდრე იოსების ძე ზალარინი — ავტოქარხნის № 2 საწნეხი საამქროს მუშა (ათრობს ორი შუშა) ქუთაისში, მშვიდობის ქუჩის № 20 სახლში მცხოვრები.

ბადრი კარლოს ძე ქირია — (მასთან ქეიფი ძვირია, სიმთვრალეში ჭირია), 25 წლის, დათვრა და ფეხზე იდგა ძლივს, კომკავშირელი (თამადა პირველი), ავტოქარხნის აგრეგატული კორპუსის ამწყობი (სიმთვრალეში ცნობილია ანცობით).

სერგო ვლადიმერის ძე კისილიოვი — 1956 წელს დაბადებული, (სმაში არვარგებული), ისიც № 2 საწნეხი საამქროს ელექტროშემდუღებელი (სავსე ჭიქის მძებნელი).

კავროზ მათეს ძე ბიწაძე — (ფეხს ძლივს ადგამდა მიწაზე), № 2 საწნეხი საამქროს მუშა, 1932 წელს დაბადებული, (ქეიფში გლახად ქებული).

იოსებ ვასილის ძე მესტიაშვილი — კავროზ ბიწაძის მეზობელი (ჩკალოვის ქუჩის № 1 სახლში მცხოვრები) 1942 წელს დაბადებული (ნასვამი დაბლა გდებული) ავტოქარხნის მთავარი კონვეიერის მუშა (მედალს გილოცავთ, იოსებ, ოღონდაც ნუ გაიოცებ!)

გოჩა შალვას ძე ბარბაქაძე — 21 წლის ჭაბუკი (სიმთვრალეში ქარბუქი), ავტოქარხნის ლითონსამეურნეო საამქროს მუშა, მშვიდობის ქუჩის № 20 სახლში მცხოვრები.

ვლადიმერ ბორისის ძე ნელინი — (სიმთვრალით გზასაცდენილი), **არკადი ივანეს ძე დავოსჩი** — (სპირტისთვის წავა ლაოსში), **ივანე ალექსანდრეს ძე გოშჩენკო** — ავტოქარხანაში სამუშაოდ მივლინებით ჩამოსულები, ჯერ მაგრად დალიეს და მერე დაიძინეს... გამოსაფხიზლებელში.

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ვოროშილოვი, ვიქტორ ალექსანდრეს ძე მისეევი, ალექსანდრე იოსების ძე კუხიანიძე, ივანე კონსტანტინეს ძე ჭუმბურიძე, რადინ ფიდიატის ძე შეიფუდინი, ვიქტორ ანდროს ძე იურადაევი, ანატოლი ალექსანდრეს ძე ცვეტკოვი შვიდნი ძმანი უსაქმურნი, ქუჩა-ქუჩა მოხეტიალეები, სპირტიანი სასმელების მოყვარულები, გამოსაფხიზლებლის დაუპატიჟებელი სტუმრები.

გივი შალვას ძე კეპულაძე — (სმაში არის ქებულაძე) და **ვლადიმერ ანდროს ძე ლაბაძე.** გივი ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობს, ვლადიმერი — ხორცკომბინატში. ორივენი ერთი ასაკისანი არიან, თან ოჯახის წევრების დაწიოკებაშიც გვანან ერთმანეთს.

ლევან შაქროს ძე კახიძე — (დათვრა და დიდხანს ღვიძეს), ლითონკონსტრუქციების სამმართველოს მუშა.

იური ვლადიმერის ძე გობროვი — საცდელ-მექანიკური ქარხნის მუშა, (ქარხანაში წასვლის ნაცვლად იურიმ სპირტიანი სითხე ყლაპა „ღვთიური“).

სერგო რაჟდენის ძე უშვერიძე — (რომ დათვრება, ნეტავ ვინმე უშველიდეს!) „მოსკვიჩების“ საგარანტიო შეკეთების სადგურის მეთუნუქე, გაბაშვილის სახელობის პარკში ფეხზე ველარ დგებოდა.

ივანე სპირიდონის ძე ჩერმუშინი — მე-4 სამშენებლო ტრესტის მუშა, (ღვინის ტრფიალით, თურმე, ივანე, თანხას ნისიად ხშირად ივალებს).

ტარიელ გიორგის ძე კინწურაშვილი — № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, **ირაკლი მერაბის ძე ბუხაიძე** — (ბაძავს მსმელებს, „მუყაითებს“, არცხვენს კაპიტანი ბუხაიძის სახელს).

რამაზ ზურაბის ძე ჭელიძე — 29 წლის, **ვახტანგ ბუდუს ძე შვანგირაძე** — 25 წლის და **გიორგი გურამის ძე ტალახაძე** — (ტალახი და ჩირქი მოსცხო ოჯახს). რ. ჭელიძე მუშაობდა სამშენებლო კომბინატში. გ. შვანგირიძე — სამკერვალო გაერთიანებაში, ხოლო გ. ტალახაძე — მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში. სამივე ბახუსის მოყვარული და ქქარცველია, მაიაკოვსკის რაიკოოპერატივს მიაყენეს 1396 მანეთის ზარალი.

რეკორდსმენთა, ანუ გამოსაფხიზლებელში ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ მოხვედრილ მედალოსანთა სია:

ვიქტორ ანდრიას ძე იგემტაევი — უმუშევარი, კიროვის ქუჩის № 8 სახლში მცხოვრები.

გივი ელგუჯას ძე მარდალეიშვილი — მუშაობს მე-4 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველოში, არის ნინოშვილის ქუჩის № 17 სახლის მობინადრე (ღვინო იყო მისი ჰობი ადრეც).

ელგუჯა მელიტონის ძე მელაშვილი — (ამბობს: „არ დავლევ, მე რა შვილი?“, ქეიფშია ხელგაშლილი), ცხოვრობს ნინოშვილის ქუჩის № 244 სახლში.

ვიქტორ ვიქტორის ძე უტენკო — (ღვინო-არაყი უკვე სპობს!), ხუნდაძის ქუჩის № 50 სახლში მცხოვრები, კლინიკური საავადმყოფოს ელექტრომონტიორი.

ვალერი გიორგის ძე რაზმაძე — (თანახმაა პურმარილზე და სმაზე!), კიროვის ქუჩის № 90 სახლის მობინადრე, (შინ ნასვამი მოდის ადრე! ერთხელ მისცეს პასუხისგებაში, მაგრამ კვლავ დრო გაჰყავს ბახუსის ძებნაში).

დიმიტრი ვლადიმერის ძე ვარდოსანიძე — წულუკიძის ქუჩის № 5 სახლში მცხოვრები (უთხრეს: „ღვინის სმის ლიმიტი, ამოგეწურა, დიმიტრი!“), მუშაობს ქუთაისსაზკვების სამმართველოში წუნმდებლად.

ოთარ თეოფილეს ძე ხერხაძე — 1924 წელს დაბადებული, უმუშევარი, მისი მისამართია: კიროვის ქუჩა № 8.

გურამ ალექსანდრეს ძე ხურციძე — ავტოქარხნის შასის საამქროს ამწყობი, მარქსის ქუჩის № 28 სახლში მცხოვრები, (თუ გაჩნდა დალევის შანსი, მას აღარ ახსოვს შასი!).

აჭიკა წიწაკაძე,
მედლის „არაყაცობისთვის“ მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ანდაზები

კერძოპესაკუთრული ინსტინქტით შეპყრობილ „ჩემიაზე“ თქმულა:

- **ქაცმა** კაცს ბაღი აჩუქა და იმან ვაშლიც არ აჭამაო.
- **დათვი** დათვს ეპატიჟებოდა — სხვის ვენახში მიპყავდაო.
- **ცალთვალა** ხარს ორთვალა ხარის ნამუშევარი თავისი ეგონაო.
- **სადაცაა** დიდი ღომი, იქითაა ჩემი ომიო.
- **ბორბოტია** ისიც, ვინც მხოლოდ თავისი თავისთვის არის კეთილიო.
- **შუცელს** აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო.
- **ერთ** კაცს სოფლიდან აძევებდნენ, ის კი მამასახლისობას თხოულობდაო.
- **ღორი** რომ გასუქდება, იტყვის, ნეტავი მგელს დამაჭიდაო.

მომხვეჭელზე თქმულა:

- **არმად** ნამოვნი არმად ჩაივლისო.
- **ბევრის** მდომი ცოტასაც დაკარგავსო.
- **კოკა** წყალს მუდამ არ მოიტანსო.
- **ქარის** მოტანილს ქარივე წაიღებსო.
- **რაც** არ გერგება, არ შეგერგებაო.
- **ნამუსიც** კაი საქონელიაო.
- **ცა** ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნადო.
- **დათვს** ვენახი მიაბარეს, — არც არავინ შიგ შეუშვა და აღარც არაფერი შიგ გაუშვაო.
- **განა** კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო.
- **სირცხვილი** დიდი კომბალიაო.

შეკრიბა ირაკლი ყიფიანმა

ნახ. ი. ყეინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ

ნახ. ჭ. დეისაძისა

— ამ ჩემს ციხეზე უკეთეს ციხეში სადღა უნდა წამიყვანოთ?!

ჭორცხობილა

ჭორცხობილა საკმაოდ ორიგინალური ნამცხვარია. იგი არ გამოირჩევა არც ტკბილი, სასიამოვნო გემოთი, არც გაფორმებით და ფერთა შეხამებით. მეტიც: ნამცხვარს თავიდან მოტკბო გემო აქვს, ზოგჯერ შეიძლება გემოც ვერ გაიგოთ, ისე მწარდება. (გააჩნია, ვინ ან როგორ გამოაცხო).

ნამცხვრის დადებითი მხარე ის არის, რომ იგი შეიძლება გამოვაცხოთ ყველგან: სახლში, ქუჩაში, სამსახურში, ნაუცბათევად, ოღონდ ცხობის დროს არ შეიძლება გარეშე პირების იქ ყოფნა, რადგან ხელს შეგვიშლიან ნამცხვრის ნორმალურად გამოცხობაში.

ნამცხვარი „ჭორცხობილა“ დიდი მოწონებით სარგებლობს ქალებში, თუმცა ამ ბოლო დროს მამაკაცებიც არა მარტო გემრიელად შეექცევიან, არამედ გამოცხობაშიც ქალებს არ უდებენ ტოლს!

ლ. ძირულისპირელი

სად შოულობენ?!.

ერთმანეთს გადაჭდობილან
სიძე-ბიძები, მძახლები,
იატაკიდან ჭერამდე
ბროლით სავსე აქვთ სახლები!..
სად შოულობენ ამდენ ფულს
ეს ობერშობელ-ძაღლები?!.

წიქა

№ 709
4.XI 1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

70 წლის ბორის პაიჭაძეს

სალაღობო

სად იყო ბრაზილიელთა
განთქმული „ხმელი ფოთოლი“,
როცა ხმელ ფოთოლს ურტყამდი
ჩ'ოხატაურელ-ფოთელი?!

ეუეუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა!..
სად — შენ, სად — მიშელ
პლატინი?!
დი-ნა-მო!.. დი-ნა-მო!..

ოქროს ბუცები კი არა,
უნდა მოეცათ ნობელი!
შენ კი... არც ჩემპიონი ხარ,
არც რამე თასის მფლობელი!

შენს მტერს, — თუ მტერი შენცა
გყავს, —
გული გაუპოს დანამა!
სად — შენ, სად — ვავა, პუშკაში?!
დი-ნა-მო!.. დი-ნა-მო!..

თუმცა ლამაზი ჭაღარა
შენს ჭკვიან თავსაც დანათის,
შენ წლები ვერას დაგაკლებს,
ვერც ათას სამოცდაათი!

ეუეუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა!
სად — შენ, სად — მათი ასები?!
დი-ნა-მო!.. დი-ნა-მო!..

შენი თაყვანისმცემელი „ნიანგი“

„ჯადოქარი ხარ, ბორის, ზღაპრული!..“

როცა მოიცავს ბინდი სტადიონს,
როცა ყუჩდება ბინდში რადიო
და მიეგდება ბურთი,
როცა მოთხრობას, შლეგსა და ლამაზს,
და თბილისელთა ნერვებზე თამაშს
შეწყვეტს დიქტორი წუთით,

როცა ხალხის ზღვას ვყავართ ალყაში,
როცა, მანქანებს გააქვთ განგაში
და გახიდულან გზაში,
მეც ვურევივარ ხალხის ტალღაში,
მეცა ვყაყანებ ხალხის ყაყანში
და შენ გიხსენებ მაშინ!

გიგონებ ცერზე დაგეშილ ფრინველს,
მრავალი ბრძოლის მხილველს და პირველს
უპირველესთა შორის,
ველად გავარდნილ ცეცხლსა და ფოლადს,
ქართულ მოედნის ცენტრსა და ფორვარდს,
მე შენ გიგონებ, ბორის!

„აბა მიმინო ის იყო მართლა!
იცოდა ბურთის მიტანა კართან
და მერე, კართან მიტანის გარდა,
ტყორცნაც იცოდა კარში!..“ —
ჰყვებიან ასე ბურთის გიჟები,
ჩაფიქრდებიან წუთით ბიჭები
და ასე ვდუმვართ გზაში.
ვდუმვართ და ვხედავთ გარდასულ ბრძოლებს:

გავარდნილხარ და მიაპობ მორევს,
აგიწყვეტია ხუნდი!..
ჯადოქარი ხარ, ბორის, ზღაპრული,
თითქოს თასმით გყავს ფეხზე დაბმული,
წინ მიგიძღვება ბურთი!..

უყვარდი მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს,
შუბლში გესროდნენ ვარდებს და იებს,
უყვარდი მშობელ თბილისს!..
შენ ევროპაში გიჭვრეტდნენ ძლიერს,
შენ თეირანში ფეხდაფეხ გდიეს —
ვერ შეგიცვალეს ნირი!

აღარ ჭიხვინებს შენი მერანი,
შენ ვალმოხდილი ხარ ვეტერანი
აწ გარდასული ბრძოლის!..
შენ დასავლეთის ტრიბუნა გელის,
შენ მაყურებელს მიეცი ხელი —
შენ ჩვენთანა ხარ, ბორის!

როცა მოიცავს ბინდი სტადიონს,
როცა ყუჩდება ბინდში რადიო,
ჩვენ ჩავფიქრდებით წუთით...
გათელილია ველზე ბალახი,
აზელილია გზებზე ტალახი —
გდია დაღლილი ბურთი!..

მურმან ლებანიძე
1953 წ.

ოპერაცია «გაფუჭებული განწყობილება»

 პოლიტიკური ფელეტონი

ამერიკული სამხედროსამრეწველო კომპლექსი ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონისათვის განუწყვეტლივ ამზადებს შეიარაღების ახალ, სულ უფრო დახვეწილ სახეობებს და ამით ფანტასტიკურ მოგებას ხვეტავს. სწორედ ამ ფაქტმა უკარნახა თემა ფელეტონისათვის ცნობილ ამერიკელ სატირიკოსს. იგი წერს ბიზნესმენის სახელით, რომელსაც სწყურია, რომ მის თავზეც ითქრიალოს პენტაგონის დაკვეთების ოქროს წვიმამ.

ძვირფასო თავდაცვის მინისტრო კასპარ უაინბერგერო!

ოდესმე თუ მიგიქცევიათ ყურადღება იმისათვის, თუ პარასკეობით რა მოულოდნელად ელის ხალხი დასვენების დღეებს? ისინი ამ დღეს პირღიმილით იღვიძებენ და წარმოსთქვამენ: „მადლობა ღმერთს, დღეს პარასკევია!“ ახლა არ იკითხავთ, რა კარგი გუნება-განწყობილებით წამოსტტეებიან ხოლმე თავიანთი სამუშაო ადგილებიდან? ზოგჯერ სამუშაო დღის დამთავრებასაც აღარ უცდიან, ისე გაცვივდებიან ხოლმე ქუჩაში.

მერე შაბათი დგება. ყველას უყვარს ეს დღე, განსაკუთრებით მაშინაა კარგი, თუ დილიდანვე მოახერხებ ბავშვების ნეიტრალიზებას — შეაჩეჩებ მათ კომიქსებს, თვითონ კი ძილს გაიბრტყელებ. ნასადილევს ფეხბურთის ან ჰოკეის მატჩების ტრანსლაცია იწყება, ან შეიძლება სულაც გოლფკლუბში წახვიდე.

ბატონო მინისტრო, თქვენ რას ფიქრობთ შაბათ საღამოზე? სწორია ძველებური სიმღერა: უბრალოდ ყველას გადარევამდე უყვარს ეს საღამო მისი ვნებებითა და ღვინით, კინორეკლამებითა და სროლით. რა ეღირებოდა ჩვენი სიცოცხლე ამ წარმტაცი ჟამის გარეშე?

რა თქმა უნდა, თქვენ ეს შესანიშნავად იცით, მისტერ უაინბერგერო, იცით იმიტომ, რომ თქვენს იქით, კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი ყოველ კვირა დღეს გამოუცნობი შიშითა და ავი წინათგრძნობით დათრგუნვილი იღვიძებს, თქვენ კი, ნამძინარევ თვალებს გაახელთ თუ არა, მაშინვე ხვდებით ასეთი უსიამო შეგრძნებების მიზეზს, თქვენ ხომ საუზმის შემდეგ საგარეო კოსტიუმს იცვამთ და ღვთისმსახურებაზე მიდიხართ, მერე რამდენიმე გაზეთს გადაავლებთ თვალს და ამასობაში გადის დილაც და შუადღეც, შემდეგ კი, რაც ყველაზე უარესია — დგება საღამო.

განა შეიძლება დავასახელოთ უფრო ამაზრზენი რამ ვიდრე ის მომენტია, როცა ქალაქს ბინდი მოიცავს, თქვენს სულში კი უიმედობის გრძნობა ჩასახლდება და აღარ მიგატოვებს დღის ბოლომდე?

ოღონდ იძულებული ვარ კითხრა, ბატონო მინისტრო! პენტაგონში თქვენი შეიარაღების დამკვეთები სრულებით არ უწევენ ანგარიშს იმ უმნიშვნელოვანეს როდს, რასაც დასვენების დღეები თამაშობენ ადამიანთა ცხოვრებაში!

მათ უარი თქვეს ჩემს მოთხოვნაზე — მეტად მოკრძალებული თანხის, 800 მილიონი დოლარის გამოყოფაზე შეიარაღების ახალი სისტემის შემუშავებისა და წარმოებისათვის, მას კი შეუძლია გადატრიალება მოახდინოს სამხედრო საქმეში. მე მხედველობაში მაქვს იარაღი, რომელმაც მიიღო კოდური სახელწოდება „გაფუჭებული განწყობილება“, იგი მუშავდება ჩემი ფირმის კონსტრუქტორების მიერ. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ ეს სისტემა მთლიანად გაიშლება, აშშ შეძლებს შუდმივ შიშში იყოლიოს საბჭოთა კავშირი და თანაც — ყოველგვარი ბირთვული იარაღის უქონლად.

რას წარმოადგენს „გაფუჭებული განწყობილება?“ 800 მილიონი დოლარის გარეშე, რაც ასე საჭიროა კვლევითი სამუშაოებისათვის, მე არ შემიძლია გასაგებად გავცე პასუხი ამ კითხვაზე, თუმცა მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ იარაღის გამოყენებით შეგვეძლება მოწინააღმდეგეს ყველა დასვენების დღე გავუფუჭოთ.

აბა წარმოიდგინეთ: საბჭოთა კავშირში პარასკევ დილით მილიონობით ადამიანი იღვიძებს გაურკვეველი შიშის შეგრძნებით დათრგუნული. ამას უფრო ამძიმებს იმის შეგნება, რომ მათ ასეთივე განწყობილება ექნებათ პარასკევ საღამოსაც, შაბათს, დღისით და საღამოთიც, რომ აღარაფერი ვთქვათ კვირაზე.

როგორც კი ამშ შეძლებს ყველა დასვენების დღე მოუწამლოს მათ, ისინი თავს შემოგვაბრალებენ, ჩვენ კი მოვთხოვთ, რომ საბჭოთა ხალხმა თავი რეიგანის მიმდევრად გამოაცხადოს.

თქვენ მკითხავთ, რეალურია თუ არა ასეთი იარაღის შექმნა? შეგიძლიათ ეჭვიც არ შეგეპაროთ! — მე უკვე შევუდექი მისი შემადგენელი ნაწილების აწყობას, მათ შორისაა ბოთლები, სადაც შეიძლება დავმალოთ მზის სინათლე, რამდენიმე მილიონი კილომეტრი ფირი ჩვენი პოლიტიკოსების საკვირაო ინტერვიუს ჩანაწერებით, მილიონობით საგაზეთო სტატია, დაწერილი ამერიკელი ჟურნალისტების მიერ, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

ეჭვგარეშეა, სისტემა „გაფუჭებული განწყობილების“ შექმნა იოლი ამოცანა არ იქნება, თუმცაღა, თუ თქვენ დამეხმარებით, ბატონო მინისტრო, შევძლებდი 800 მილიონი დოლარის მიღებას, შევაკეთებდი ჩემს ავტომობილს, გავისტუმრებდი ვალებს და ორი კვირით წავიდოდი სადმე ბუნების წიაღში დასასვენებლად იმისათვის, რომ მთლიანად მოვდუნდე და მოვამზადო თავი დიდი მისიის შესასრულებლად. გპირდებით, რომ ჩემი პროგრამის ფასეული მხარე უფრო მიმზიდველ სახეს მიიღებს და მაშინ თქვენ მოგიხდებათ გაიღოთ არაერთი მილიონი დოლარი!

გაზეთიდან „ზა რუბეჟომ“ თარგმნა

ელგუჯა მერაბიშვილმა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 19 (1631) ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბარათაია, ზორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 6. 09. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 10. 85 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 1985. უე 11632. ტირაჟი 143300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137